

## თანამედროვე ქართული პრესის ზოგიერთი ლექსიკური ტენდენციის შესახებ

თავისუფლება, რომელიც საბჭოური იდეოლოგიური არტა-  
ხებისაგან თავდაღწეულმა პრესამ (და საერთოდ მასმედია) მოი-  
პოვა ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში განვითარებული პო-  
ლიტიკური მოვლენების შედეგად, საკმაოდ მძიმე გამოცდა გამო-  
დგა ქართული სიტყვისათვის. ამასთან, როგორც გამოცდას შეე-  
ფერება, ნათლად წარმოჩნდა ამ პროცესების თანმდევი კარგიც  
და ცუდიც. უპირველესად თვალში საცემია ქართული მჭევრმე-  
ტყველების აღორძინება, რაც ალბათ ასე „გაშინაურებული“ მი-  
ტინგებისა და პოლიტიკური დებატების შედეგია. აზროვნებითმა  
რადიკალიზმმა, დისკუსიისათვის დამახასიათებელმა არგუმენტაცი-  
ის მოთხოვნილებამ სიტყვას თითქოს ახალი სასიცოცხლო ძალა  
შესძინა, გააღრმავა, გააფაქიზა (ზომიერებას განსაკუთრებული  
ფასი დაედო) და ქვეტექსტებით დატვირთა. ახალი სახელმწიფოს  
შენების პროცესში ნდობისა და არჩევანის გაკეთების უმთავრესი  
კრიტერიუმები ხდება „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“. გან-  
საკუთრებული აქტუალობა შეიძინა სიტყვის დროულად და ზო-  
მიერად მოხმარების ხელოვნებამ, რამდენადაც იგი (სიტყვა) ერთ-  
დროულად არის არაჩვეულებრივად სათუთიც და ბასრიც,  
„უტკბესიც და უმწარესიც“. სწორად შერჩეული, კონტექსტში  
მარჯვედ ჩასმული სიტყვა შესანიშნავი იარაღია მოწინააღმდეგის  
განსაიარაღებლად, მის დასამარცხებლად და ამავდროულად სა-  
კუთარი ერუდიციის, კულტურის (არა მხოლოდ მეტყველების  
კულტურის) წარმოსაჩენად. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა  
ენიჭება თვით მოსაუბრის ეთიკურ ზომიერებას, შინაგან კულტუ-  
რას. სწორედ სიტყვასთან დამოკიდებულებაში გამოვლენილმა

ზომიერების დაცვის უნარმა გახადა ძალიან გამჭვირვალე მრავალი ადამიანის შინაგანი კულტურა, მისი ზნეობრივი ფასეულობანი, ვნებათ, საზოგადოებრივი ღირებულებაც. სამწუხაროა, რომ ამ მხრივ უარყოფითი უფრო მეტი წარმოჩნდა, ვიდრე დადებითი და რამდენადაც საერთოდ პოზიტიურ მოვლენებთან შედარებით ნეგატიური გაცილებით მწვავედ და მტკივნეულად აღიქმება, „სიმახინჯის დინამიკურობის“ პრინციპით, უარყოფითი მომენტები გაცილებით მეტი გვეჩვენება, ვიდრე ისინი რეალურად შეიძლება არსებობდნენ.

ჩვენი ყურადღებაც სწორედ ზოგიერთმა ენობრივმა ტენდენციამ მიიპყრო, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ პროცესებს მოჰყვა.

2001-2002 წლებში, როდესაც იქმნებოდა „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“, სპეციალისტთა ჯგუფის მიერ საგანგებოდ იქნა შესწავლილი 15-მდე დამოუკიდებელი გაზეთის ენა (2001 წლის ნომრები).<sup>1</sup> როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გაზეთებში მეტ-ნაკლებად ერთნაირი ენობრივი სიტუაცია აღმოჩნდა. წინამდებარე სტატია იმდროინდელი მუშაობის გამოძახილია, მსჯელობა კი ძირითადად ემყარება გაზეთების — „ქრონიკის“, „ახალი 7 დღისა“ და „ახალი თაობის“ მასალებს. შეძლებისგვარად გათვალისწინებულია აგრეთვე შემდგომდროინდელი ვითარებაც, ძირითადად ჟურნალების — „სარკისა“ და „რეიტინგის“ 2004 წლის I ნახევარში გამოცემული ნომრების მიხედვით.

რამდენადაც ჩვენი განხილვის ობიექტი პრესის ენაა, უპირველესად უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი მომენტი: პრესის ენა ძალიან დაუახლოვდა სასაუბრო-ზეპირ მეტყველებას. თუ ადრე პრესის ენისათვის ძალზე დამახასიათებელი იყო დაშტამპული სიტყვა-გამოთქმები, შინაგანი თუ ფაქტობრივი ცენზორის მკაცრ ჩარჩოებში მომწყვდეული აზროვნების შესაბამისი ლექსიკა და ფრაზეოლოგია, ამჟამად რადიკალურად განსხვავებული სურათი მივიღეთ. რჩება შთაბეჭდილება, რომ ხშირად სიტყვის თავისუფლება გაგებულ იქნა, როგორც ჟურნალისტის აბსოლუტური განთავისუფლება იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას სიტყვასთან, როგორც გადმოსაცემი ამბის ფორმასთან, დამოკიდებულე-

<sup>1</sup> „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი დაიბეჭდა 2002 წელს ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის (ICFJ) პროგრამით.

ბის თვალსაზრისით უნდა ჰქონდეს. შედეგად მივიღეთ ის, რომ პრესა გაივსო ქუჩის ლექსიკით, სასაუბრო-ფამილარული სიტყვა-გამოთქმებით, ვულგარიზმებით, ბარბარიზმებით, სკაბრეზული გამოთქმებით... საგაზეთო სტატიათა დიდი ნაწილი იწერება იმ სტილით, რა სტილითაც ვკორაობთ, ვკამათობთ, ვხუმრობთ. გაზეთები და ჟურნალები (განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი) თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან თავისუფალი აზროვნების ამგვარ ფიქსაციაში და, ყოველგვარი უხერხულობის გრძნობისგანაც სრულიად განთავისუფლებულნი, ისე ბილწსიტყვაობენ, რომ შემცბარ მკითხველს ველარ გაურკვევია, საგაზეთო სტატიას კითხულობს, თუ — ანეკდოტს. ამგვარი ანეკდოტური აზროვნებით თავმოწონება (იმავე სტილით თუ ვიტყოდით, — „მარიაჟობა“) იმდენად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ლამის უკანა პლანზე გადადის შინაარსობრივად თუ ფორმობრივად საინტერესოდ დაწერილი არაერთი სტატია.

სხვათა შორის, ერთ ინტერვიუში (ჟურნ. „სარკე“, №15, 2004) ერთ-ერთი ჟურნალისტი ამგვარ მეტყველებას ბუნებრიობისა და გულწრფელობის მოთხოვნილებით ხსნის და, აბსოლუტურად დარწმუნებული თავის სიმართლეში (და ნიჭიერებაშიც!) წერს: „მე კი არ ვმასხარაობ და იუმორისტულ გადაცემას კი არ ვაკეთებ, არამედ შემიძლია შენობით მივმართო ნებისმიერ მინისტრს და ვუთხრა — „ცვეტში არ ხარ მართალი და რაღაცას ახურებ!“ ამის თქმის სურვილი ნებისმიერ ადამიანს უჩნდება, მაგრამ კლიშეებით თუ რაღაც ნორმებით ასეთი ლაპარაკი მიღებული არ არის. მაყურებელს კი ამის გაგონება სურს“.

ძნელი სათქმელია, სად და როგორ დაადგინა აღნიშნულმა ჟურნალისტმა, რომ მაყურებელს იმგვარი ბილწსიტყვაობის მოსმენა სურს, როგორითაც იგი ინტერვიუშიც იწონებს თავს; ისიც საკითხავია, მაყურებელთა რა კატეგორიაზეა გათვლილი მისი ლექსიკური თავისუფლება. ძალიან საეჭვოა, ნორმალურ, ჯანსაღი ფსიქიკის მქონე მკითხველს სიამოვნებდეს ამ სახის გამოთქმების წაკითხვა ჟურნალ-გაზეთებში. მათში ზოგჯერ მრავალწერტილის პრინციპია გამოყენებული, ვითომდა ეთიკური ნორმების დაცვის მიზნით. სინამდვილეში კი მინიშნება იმდენად გამჭვირვალეა, მრავალწერტილს უკვე არავითარი აზრი აღარა აქვს (მით უფრო, როცა ამგვარი გამოთქმა არცთუ იშვიათად სათაურშია

გამოტანილი საკმაოდ მსხვილი შრიფტით).

სათანადო საილუსტრაციო მასალის დეტალურად მოყვანა აუცილებელი არ არის: წარმოდგენილი მსჯელობის სისწორეში დარწმუნება თანამედროვე პრესისათვის ერთი თვალის გადავლენითაც შეიძლება.

აქვე შევნიშნავთ, რომ თანამედროვე პრესაში სტატიათა უმრავლესობას ინტერვიუს ფორმა აქვს, რომლებშიც მაქსიმალურადაა დაცული რესპონდენტის სტილი. ეს, ერთი მხრივ, ჟურნალისტს „აზღვევს“ ზედმეტი პასუხისმგებლობისაგან როგორც ფაქტობრივი, ასევე ენობრივი თვალსაზრისით, მეორე მხრივ, ქმნის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის სურათს.

შესაძლოა, ჩვენი რესპონდენტები მართლაც ყოველთვის ენამზეობით ვერ გამოირჩევიან, მაგრამ სტატიას ჟურნალისტი წერს (უნდა წერდეს!), პრესის ენას ჟურნალისტიკა ქმნის, იგი აძლევს ვიზას — მკითხველამდე მივიდეს რესპონდენტების მეტყველება და, როგორი ქართულით მოიწონებს თავს კონკრეტული ჟურნალი თუ გაზეთი (მთლიანობაში კი — ქართული პრესა), ამაზე პასუხისმგებლები, ცხადია, ჟურნალისტები არიან. ისიც უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტთა მეტყველებაც ხშირად დიდად არ განსხვავდება მათი რესპონდენტების მეტყველებისაგან და ენობრივი დარღვევები მათთანაც არაიშვიათად დასტურდება.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ — თანამედროვე პრესის ენა ძალიან გამოირჩევა ლექსიკური ინოვაციებით. ესაა, ერთი მხრივ, უცხო სიტყვათა და ტერმინთა განსაკუთრებული მოქარბება და, მეორე მხრივ, ბარბარიზმების, ჟარგონიზმების, ვულგარიზმების, ე. წ. სლენგის დამკვიდრება. ორივე სახის ლექსიკური ტენდენცია დროისა და ფასეულობების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. თუ ბირველი ჯგუფის ლექსემებით დასავლური პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის ხაზგასმასთან გვაქვს საქმე, მეორე ჯგუფის ლექსიკა თავისუფალი სიტყვისა და აზროვნების ფსევდოგამოხატულებად წარმოგვიდგება. ობიექტურად, მოსაწონი და მისაღები არც ერთია და არც მეორე, მაგრამ, ვფიქრობთ, განსაკუთრებით საგანგაშო მაინც მეორე რიგის ტენდენციაა.

პრესის ენაში დადასტურებულ ბარბარიზმთა უმეტესობა რუსული წარმოშობისაა. ნიშანდობლივია, რომ გვხვდება არა

სტოლი, სპიჩა, პოლი... ტიპის ბარბარიზმები, რომლებიც სასაუბრო მეტყველებაში დღესაც არაიშვიათად გაისმის, არამედ ქარგონული ტიპის ბარბარიზმები. ის, რაც ადრე ვიწრო სოციალური ჯგუფის ლექსიკის შემადგენელი (და გარკვეული თვალსაზრისით — აუცილებელი) ნაწილი იყო (ქურდების, კრიმინალების, ე. წ. „ძნელად აღსაზრდელთა“ და მისთ.), ახლა საზოგადოებრივად საკმაოდ გაფართოვდა და განსაკუთრებით გავრცელდა ახალგაზრდობის მეტყველებაში და პრესაშიც. პრესამ, ერთი მხრივ, აიტაცა მეტყველების ეს თავისუფალი მანერა, როგორც ცხოვრებისეული რეალიების კონსტატაცია, და, მეორე მხრივ, თავად შეუწყო ხელი ამ სტილის გავრცელება-დამკვიდრებას საზოგადოებრივ მეტყველებაში. და რადგანაც ბექდურ სიტყვას დიდი ძალა აქვს და ის, რაც მავანთა ზეპირ მეტყველებაში ყურს სჭრიდა და არაეთიკურად მიიჩნეოდა, დაბეჭდილი უკვე „გაშინაურდა“, მეტი სითამამე შეიძინა და ჩვენს თვალწინ თანდათან უკვე მკვიდრდება მრავალთა მეტყველებაში. ამ რიგის მაგალითებია:

*ქურდაძე მალე „ნაკოლშიკის“ ვინაობას იგებს; ეუბნება „ნაპარნიკს“; „რეკავენ „როყები“ და თავის „გრენებს“ აბაზრებენ; მასურებლის თვალში მავარი ცუდი „როფა“, ვოიმი ხდები; „მალნიშკურად“ ჩამთრევია; შეიძლება, მარგოშვილს ეს ვინმემ „ნაზლო“ გაუყეთა; გაიზარდა „სტავკები“, გადასახადები; „პას-მერტნად“ თუ აირჩევენ მერად, თორემ სხვა „პრასვეტი არ გააჩნია...*

განსაკუთრებით ხშირად გვხვდება: კაროჩე, ვაფშე, პროსტა, ნაშა, სასტავი, როყები, გრენები, ტუბოი, ლევი, პადერ-ჟა, რეჩი, ნაგლი და მისთ.

საგულისხმოა, რომ ჟურნალისტები ისე შეეჩვივნენ ამგვარ „ახალ ქართულს“, რომ პუნქტუაციური ბრჭყალების მოხსნაც დაიწყეს აღნიშნული ტიპის სიტყვა-გამოთქმებთან, ქართულ სიტყვა-წარმოებით ჩარჩოებში მოაქციეს და ჩვენი ზეპირი თუ წერიტი მეტყველების აუცილებელ ელემენტებად აქციეს. მაგალითად:

*შენ შენს ბიზნესს კრიშობ; ეს ბორცვები ფუტლიარია; იმ კალუს ნაშას როგორ სთხოვდი; ამჭერადაც ბლეფი აღმოჩნდა; ვვლა სხვა ჟურნალისტი არის მუდაკი; ლიმონათის ცეხი გაიხსნა; საქმეების გარჩევა სხვადასხვა სასტავში მიდიოდა; კაროჩე, უნდა მიბვიდე; ესენი სტარიკები იყვნენ; პროსტო ძაან ვაწეწი-*

ლი დადის; მაგარი ნაკლი ზალხია...

შეინიშნება კიდევ ერთი ტენდენცია: შეიქმნა ერთი ჯგუფი ბარბარიზმებისა, რომელსაც პირობითად *ფსევდოოელიტური* შეიძლება დავარქვათ, რამდენადაც იგი თანამედროვე მოუბიზნესის განუყოფელ ტერმინოლოგიურ ლექსიკად ჩამოყალიბდა. ასეთებია: **პაკაზი, პრაგონი || პრაგონები, სასტავი, ბაზარი, პახოდკა, სვეტი, მუდაკი, პრასვეტი...**

ფსევდოოელიტურ ლექსიკაში ბარბარიზმებთან ერთად ძალიან მოდურია ქარგონული ლექსიკა და ვულგარიზმებიც. ასე, მაგალითად:

*ღებუტატები დაშოკა; მარგოშვილს „აჭამეს“ (სათაურია); ყველგან თავად „იჩითება“; რას მაღადავებ; მაგრა გამიტყდებოდა; რეზიდენციაში ყველაფერი ზელმეორედ გადაიშმონა; მეც ვიბლატავე; ძალიან „მევასება“; ჩემთვის ვითირებოდი; ძაან დაცემა ამბავი უნდა ვიამბოთ; დავტასაობდი და აქეთ-იქით ვიყურებოდი; მაგარი საკაიფო რამეა; მე და დარსო „ვალერიანკებით“ დავდიოდით „პრაგონების“ დროს; ნინოს სამსახურის წინ ჩემი მანქანით დავაბირუჯავთ...*

იმის გამო, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები სავსეა პობულარულ ადამიანებთან ინტერვიუებით, შესაბამისად პრესაც აივსო ამ ე. წ. ფსევდოოელიტური ლექსიკით, რომელიც გაჭვრებულია ამავე ტიპის „ფრთიანი“ გამოთქმებითაც. რაც მთავარია, ასეთი ლექსიკით კეკლუცობენ ავტორები. აი, ზოგიერთი ნიმუში:

*ზა კრასივიე ვლაზა ვფიქრობ, ტელევიზიაში არავინ მოჰყავთ; ატ დუში — სახლში მისვლა მიხარია; ყველაზე „იდეინ“ გულშემატკივარს; ზაზა, რა ზემეჩტალსია აღნავლაზი!...*

საოცარია, რომ ამგვარად მოსაუბრე რესპონდენტებს შორის ძალიან ცნობილი ჟურნალისტებიც არიან და ხელოვნებისა და განათლების მუშაკებიც, მაგრამ არ იგრძნობა, რომ ისინი რაიმე უზერზულობას გრძნობდნენ ამის გამო. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები სწორედ ამგვარი ცნობილი სახეების შეტყვევებიდანაა:

*მიჭირავს მიკროფონი და არ მიყვითა „პეტლიჩკა“; მაცვია მალინისფერი პიჯაკი; ვადაწყვიტა, ამ არხისათვის „დაეზურებინა“; „იარკი“ ფერები; „სტროვი“ ტყავის ქურთუკები; რატომ დავაზნევი კონცერტიდან; მოტვინა, რა უნდა ვააკეთოს; რას მაღადავებ; პადერჟკა მისცა; სულ მეძინა, ჭამის დროს „გმაზავ-*

დი“; დედაჩემმა დაგლიჯა... დედაჩემს გადაეკეტა; მარო დაი-  
ცენტრა; მაგრა გავბანძღები; მსახიობს ფილმში „ბრიდავენ“;  
მამუკა ონაშვილმა „დამიზვანოკა“...

„წყაროებზე“ ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ სწო-  
რედ აქ ხედავთ სათავეს ახალგაზრდობის ერთი ნაწილის, განსა-  
კუთრებით, ტინეიჯერთა მიერ ამგვარი სიტყვების წარმოებისას.  
ისინი ცნობილ ადამიანებს ბაძავენ, მათგან იღებენ მაგალითს და  
თავიანთი ახალგაზრდული ასაკის გამო აქცენტს ადვილად შესამ-  
ჩნევ გარეგნულ მხარეებზე (ჩაცმა, მეტყველება, ცხოვრების სტი-  
ლი...) აკეთებენ, რაკი ეს უფრო ეს ადვილი გადმოსაღებია და  
არა იმ შრომასა და ნიჭიერებაზე, რამაც მათი კერპები პოპულა-  
რული გახადა. თუმცა არც პირუკუ შემთხვევაა გამორიცხული:  
ცნობილი სახეები ასაკს გაუზრბიან თუ ემაღებიან და ახალგაზ-  
რდობის კომპენსაციას ტინეიჯერული ლექსიკით ცდილობენ.

ალბათ სწორედ ამიტომ მართებს განსაკუთრებული სიფრ-  
თხილე პრესას, რომელსაც მასობრიობის თვალსაზრისით მხო-  
ლოდ რადიო-ტელევიზია თუ გაეპაექრება. აქვე შეენიშნავთ იმა-  
საც, რომ ანალოგიური სიტუაციაა რადიო-ტელევიზიის ენაშიც.  
„უთვითკონტროლო დინამიკა“, რომელიც ტელეენაში მიმდინარე  
პროცესების ძირითად მახასიათებლად წარმოდგება, ბუნებრივად  
ხდება მართლაც ძალზე არასახარბიელო დასკვნის საფუძველი:  
ყველაფერი ნებადართულია.<sup>1</sup>

სიტყვასთან მეტისმეტად თავისუფალი მიდგომის შედეგია  
ნეოლოგისტური ძიებებიც, ხშირად არცთუ წარმატებული. გა-  
ჩნდა ახალი სიტყვა-გამოთქმები: **ჟვანიელები, ვაჭრობამანები,  
გელაეველები, ბაბუინები, კინომანები, თანაკმარელები, ბიზ-  
ნეს-მეგობრობა, პოლიტ-მეგობრობა, ანეკდოტგორდი, კაეფ-  
გორდი, ზმანი...**

უცხო სიტყვის ფუძე, ჩვეულებრივ, ლალად ვერ გრძნობს  
თავს სხვა ენის სიტყვაწარმოებით კალაპოტში. უკანასკნელ ხანს  
გაბნეირდა ამგვარი ნეოლოგისტური სიტყვაწარმოებითი თავისუფ-  
ლების მაგალითები:

**არავის ვეკონტაქტები; ენტროპიული პროცესები გააკომ-  
პენსიროს; იბოვეიკეს; გაბანკროტდა; გაპიტების დიდი პერ-**

<sup>1</sup> გ. კვარაცხელია, მასმედისი ენა — ყველაფერი ნებადართულია?, გაზეთი  
„საქართველოს რესპუბლიკა“, №48, 14.04.2004.

სპექტივა აქვს; გაპრემიერებაზე თანხმობის მიღება; გარემიქსებული სიმღერების; აუტირებული მამიკოები; დავატერობრბთ...

თანამედროვე ლექსიკურ-სემანტიკური ტენდენციებიდან ყველაზე მეტად გამოკვეთილი მოვლენა სასაუბრო-ფამილარული მეტყველების დამკვიდრებაა პრესის ენაში. ამ სტილის ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფორმაა თავისი ძირითადი მნიშვნელობით შედარებით „უწყინარი“ ზმნური ლექსემების დატვირთვა ფარგონული შინაარსით.

მაგალითად:

აფხაზეთის გეგმის აგორებით; დაინტერესებულმა პირებმა შეაგდეს ეს ვერსია; ტერმინალის დათრევას შეეცადა; სურდოს აიკიდებდნენ; საქორწინო მოგზაურობა ბათუმში მოხია; რა დაცემა ჩექმები ვნახე; ჩამშვებები და სიტყვის კაცები; გვარიანად გაიჭედეთ; დათო ტურაშვილთან მივაჭერი; მგონი, საბოლოოდ გავრეკე; უკვე მერამდენჯერ გადააგდო ედუარდმა; საბოლოოდ მოასრიალეს; გაკვეთილებიდან დავითესეთ...

ამავე რიგისაა: უბერავენ, მაბავდა, დავეცი, ტეხავს, ქაჩავს, გაუსწორდა, გაიჩითა, დაახურა, შეაწერა...

თანამედროვე პრესის ენაში კვლავაც გვხვდება სიტყვა-შტამპები, ბარონიმული აღრევები და კალკები. მაგრამ ჩვენ მათზე აქ ყურადღებას აღარ გავამახვილებთ, რამდენადაც ახალი მათ მოხმარებაში არაფერია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სიტყვა-შტამპებმა შედარებით იკლო აღრინდელთან შედარებით, კალკური ლექსიკა-ფრაზეოლოგია კი კვლავ საკმაოდ უხვად გვხვდება.

საინტერესოდ მიგვაჩნია აღენიშნოთ ერთი ტენდენციაც, რომელიც ტერმინოლოგიური ლექსიკის გამოყენებას უკავშირდება. პრესის ენაში გახშირდა სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ელიფსური შესიტყვებები, — ცალკეულ ტერმინთა შემოკლებით ნაწარმოები სიტყვები.

მაგალითად:

სავადასახადო (ინსპექცია) უნდა შესულიყო საწარმოში; ინვარში სამშვიდობოებს (ძალები თუ ჭარები) ვადა უწყდებოდათ; ჩართული მობილებისათვის (=მობილური ტელეფონებისათვის); ძირითადში მოხვედრასთან (=ძირითად შემადგენლობაში) დაკავშირებით; შემდეგ ბურდენკოში (ბურდენკოს სახე-



ლობის საავადმყოფო მოსკოვში) გადმოვედით; ფინალისტები...  
**უზენაესელები** არიან. მათ **საოლქოელებს** 6:4 მოუგეს (ორივე-  
გან სასამართლო იგულისხმება) და მისთ.

ამჯერად ჩვენ წარმოვადგინეთ მხოლოდ მცირე ნაწილი თა-  
ნამედროვე ქართული პრესის ლექსიკურ-სემანტიკური ტენდენციე-  
ბის ამსახველი მასალისა. საერთო სურათი თანამედროვე ჟურნა-  
ლისტიკის დამოკიდებულებისა ხანგრძლივი ლიტერატურული ტრა-  
დიციების მქონე ენისადმი კრიტიკას ვერ უძლებს. მაგრამ ისიც  
ცხადია, რომ ამას უფრო ღრმა სოციალური საფუძველი აქვს,  
რასაც ადეკვატურად ღრმა და სერიოზული ანალიზი სჭირდება.